№ 231

სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 231

სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

**თევდორე დავითის ძე ქორდანია შვილებითურთ და დავით ლუარსაბის ძე ტარ:აიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისა, ხოლო მეორე—ერთად ერთის შვილის

## ელენე დავითის ასულის ქორდანიასას

ამა ოქტომბრის 22 ს, და სთხოვენ მობრძანდნენ ს. ბერშოეთში მიცვალებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, დილის ცხრა საათზედ. (2— —1)

ამა 22-ს ოქტომბერს, საღამოს 10-ს საათზედ უეცრად გარდაიცვალა

## ალექსანდრე ივანეს ძე ბაქრაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დანი მისნი **მარიამ ივანეს ასული ჭილაშვილისა და ნატალია ივანეს ასული შიუკაშვილისა.**

პანაშვიდი ყოველდღე დილის 12 და საღამოს 7-ს საათზედ. მამა-დავითის მოედანი, სახლი მჭედლოვისა № 26. მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 26-ს ოქტომბერს, დილის ათ საათზედ, ქვაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—213—1)

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ **მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

ახალი ესპანიური პიესა

I

## უ ბ ე დ უ რ ი

დრამა 3 მოქ. კანო-ი. მაზასისა.

II

## თ ქ ვ ე ნ ი ს ბ რ ა ლ ი ა

ვოდ. 1 მოქ. რუსულიდგან გადმოკეთებული.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ბ ნნი: საფაროვ აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი და ჯურუშაძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება წარმოსადგენად ეფ. მესხის მონაწილეობით „დენიზა“ „ციხის საიდუმლო“ და „ორი გმირი“.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

ს. სალარიძე ასწავლის

**ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.**

ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5 დე უსასყიდლოდ.

ჭავჭავაძის ქ. № 24. (7—205—7)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** პარასკევს, 20 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო-სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდა საზოგადოების საბჭოსა და სხვა-და-სხვა დაწესებულების წარმომადგენელთა მომავალ სამეურნეო გამოფენის პროგრამის განსახილველად. სხვათა შორის, კრებაზედ გამოირკვა, რომ ალექსანდრეს ბაღში გამოფენისათვის თავისუფალი ადგილი მხოლოდ 2,000 ოთხ კუთხი საჟენია, საჭიროა კი 5,000 ოთხ. კუთ. საჟ. ამის გამო ზოგიერთებმა ლაპარაკი აღძრეს, რომ გამოფენა დიდუბეში გამართონ. კრებამ მაინც ვერ გადასწყვიტა ეს საქმე და დაადგინა კვირას, 29 ოქტომბერს, მოხდეს მეორე კრება ამ საგნის გადასაწყვეტად.

*** კვირას, 22 ოქტომბერს, მცხეთიდგან ტფილისს მომავალ მატარებელში სამწუხარო ამბავი მოხდა. ვაგონში უეცრად გარდაიცვალა კავკასიის ტყის მცველთა რევიზორი ალექსანდრე ივანეს ძე ბაქრაძე.

*** დღეს, 24 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების მოხელის ნიკოლოზ გრიგოლის ძისა, გედევან კონსტანტინეს ძისა და სოლომონ კუმსის ძის ორჯონიკიძეებისა, ქ. ოზურგეთის მცხოვრების სამსონ შოშიტაიშვილისა და ქ. ტფილისის მცხოვრების პავლე ეფრემის ძის კონდრატიევისა, რომელთაგან, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, პირველს ოთხს ბრალად ედება იგდირის ხაზინაში გასაგზავნ 50,000 მანეთის მოპარვა და გაფლანგვა, ხოლო უკანასკნელს, კონდრატიევს, ამ ბოროტ-მოქმედების დაფარვა. სასამართლოში ამ საქმის გამო დაბარე-

## ფელეტონი

### ოქონის ხატი

1030 წელს ქართველთა მეფეკურაპალატმა ბაგრატ IV მოიყვანა ცოლად ელენე, ასული ვასილ არგირისა, ბერძენთა მეფის რომან არგირის ძმისწული. დედოფალს ელენეს, სხვათა შორის, ბატონიშვილის ვახუშტის თქმით, მზითვად მოჰყვა „სამსჭუალი უფლისა და ხატი ოქონისა და საუნჯე მრავალი“ (ვახუშტის ისტორია, გვ. 150), დედოფალ ელენეს მოყოლილ ხატისათვის აუშენებიათ განსაკუთრებული ეკლესია ფცის ხეობაში, 40 ვერსის მანძილზედ ქალაქ გორიდგან, და, როგორც მოგვითხრობენ, ამ ეკლესიაში ინახებოდა ელენეს მოყოლილი ხატი. ბატონიშვილი ვახუშტი ასე აგვიწერს ოქონის ეკლესიას, ანუ უკეთ ვთქვათ ოქონის მონასტერს: „არს ოქონას მონასტერი დიდი, გუნბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძვრისაგან წახრით მდგომარეობს ჩრდილოთკენ და არა დაირღვევის, ადგილსა შვენიერსა წყაროიანსა“ (გეოგრაფია ვახუშტისა, გვ. 264). რაც ვახუშტის დროს ჯერ კიდევ მთელი ყოფილა, ეხლა იმათგან გარდა უბრალო ქვებისა აღარაფერი არ შენახულა. ასე რომ ძველი მონასტერი ოქონისა ამ ჟამად სრულიად აღარ არსებობს. ხოლო საზოგადოდ მიღებულია აზრი, რომ ძველი ხატი ოქონის მონასტრისა, ელენე დედოფლის მოყოლილი საბერძნეთით, დაცულია ქალაქ გორის პატარა ეკლესიაში. ოქონის ეკლესიადვე წოდებულში. ამ აზრის შესახებ ეჭვი გამოაცხადა გრაფინია უვაროვისამ. ხატი თუმცა ღვთისმშობლის ხატად არის წოდებული, მაგრამ, უვაროვის თქმით, მაცხოვრის ხატი ყოფილა, არც ისე ძველი და არც ისე საჩინო, რომ იმით დედოფალი დაელოცათ. ხოლო თვით სოფელ ოქონის ახალ ეკლესიაში დაცული ყოფილა ორი ხატი: ერთი ღვთის-მშობლისა ქართულის წარწერით, მდარე ნახელავი, და მეორე სპილოს ძვალზედ ამოჭრილი მაცხოვრისა უფრო კარგი ნახელავი. ამ ხატს მერმინდელი წარწერა ჰქონია ხუცური, რომელიც იხსენიებს ევდემონ კათალიკოზს დიასამიძეს (სცხოვრობდა მე-XVII საუკ.) და იკითხება ასე: „ოქონის ხატო“ შეიწყალე კათალიკოზი ევდემონ ულირსი ამინ“. უვაროვის აზრით, თუ რომელიმეს ამ სამ ოქონის ხატში უპირატესობას მივცემთ, უფრო სავულისხმოდ უნდა ჩაითვალოს ხატი სოფელ ოქონისა (Матеріалы по Арх. Кавк. вып. IV, стр. 172—174).

ძლიერ საინტერესო ცნობები ოქონის ხატის შესახებ დაცულია ერთ გუჯრის პირში, რომელიც ბროსეს უნახავს გორში და მისი თარგმანი შეუტანია თავისს მოგზაურობაში (Bapp. VI, p. 49—52). ამ გუჯარით მეფე ვახტანგ მე VI 1717 წელს ანიჭებს და უახლებს დეკანოზს იესე გარსევანიშვილს და მის ძმას გიორგის ყველა იმ უფლებას, შემოსავალსა და პატივს, რაც გარსევანიშვილებს წინად ჰკუთვნებიათ მეფეების მიერ ბოძებულის სიგელებით. ამ გუჯრიდგან ვტყობილობთ, რომ წინაპარი გარსევანიშვილებისა საბერძნეთით მოჰყოლია ოქონის ხატს და მას შემდეგ დეკანოზობა და სამსახური ოქონის ხატისა შთამომავლობით ყოფილა დარჩენილი გარსევანიშვილების გვარეულობაში. დეკანოზი ოქონისა ჯვარის-მტვირთველი ყოფილა ომის დროს, ხოლო ჯვარის მაგიერ, რასაკვირველია, მათ ხელში სჭერიათ ოქონის ხატი. ომისა და ნადირობის დროს, გუჯრის თქმით, ხატი უნდა ეტარებინა დეკანოზს მეფის წინ. სადაც მეფე დადგებოდა, ხატი იქ უნდა დაესვენებინათ, და როდესაც მეფე თავისს სასახლეში იქნებოდა, ხატი უნდა ყოფილიყო მის საწოლ ოთახში. ამ ხატის ისტორიის შესახებ გუჯარში, სხვათა შორის, მოთხრობილია, რომ ოფიშკვითის ბრძოლის დროს (1590 წ.), როდესაც მეფე ქართლისა სვიმონ I დამარცხდა და დატყვევებულ იქმნა, ხატის მტვირთველი გარსევანიშვილი მოკლულ იქმნა და ოქონის ხატი მათ მოწინააღმდეგეთ დარჩათ (მეგრელებს და იმერლებს), შემდეგ როდესაც შაჰნავაზ (I), მეფემ ქართლისა, დაიპყრა იმერეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია 120 მოწმე. ნიკოლოზ ორჯონიკიძეს დამცველი იქნება ნაფიცი ვექილი ამირხანოვი, გედევანისა — ნაფ. ვექ. თანაშემწე თავ. ბარათაშვილი, სოლომონისა — ყანჩელი, ხოლო შოშიტაიშვილისა და კონდრატიევისა — ბ-ნი გ. გვაზავა.

*** ის 209 ყმაწვილი კაცი, რომელნიც წელს გაიწვიეს სამხედრო ბეგრის გადასახდელად, ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, დილის 10 საათისათვის დაბარებულნი არიან ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამხედრო ბეგარათა საკრებულოში ფიცის მისაღებად. ფიცის მიღების შემდეგ ახლად გაწვეულნი ორშაბათს, 6 ნოემბერს, უნდა გამოცხადდნენ ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსთან.

*** კვირას, 22 ოქტომბერს, ავჭალის სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთ ხელ-მეორედ წარმოადგინეს ქართულად ფრანგულიდგან ნათარგმნი ხუთ მოქმედებიანი დრამა „პარიჟელნი ღატაკნი“. ამ წარმოდგენაზედ ზოგიერთნი როლის ამსრულებელნი უფრო სუსტობდნენ, ვიდრე პირველს წარმოდგენაზედ. საზოგადოდ-კი წარმოდგენამ შედარებით იმდენად კარგად ჩაიარა, რომ ბანკირის დიუპონისაგან შევიწროებულ ოჯახის მდგომარეობამ ხალხში ცრემლები გამოიწვია. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო.

*** დღეს, 24 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტი განიხილავს საქმეს გაზ. „კვალის“ რედაქტორის ქ-ნ ანასტასია მიხეილ.ის ასულის თუმანიშვილ-წერეთლისას, რომელსაც ქუთაისის გუბერნიის საკანის საზოგადოების სამართველოს გადამწერი ყარამან ნინიძე უჩივის, რომ გაზ. „კვალში“ განძრახ მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომლითაც შეურაცხყოფა მიაყენეს ჩემს პატიოსნებას, სახელს და ღირსებასაო.

*** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება კავკასიაში კიდევ გადაუდვიათ. არ გამართლდა ის ხმა, ვითომ ამ საგნის გადაწყვეტას წელს აპირებდნენ.

*** გუბერნიის ადმინისტრაციას წინადადება მიუცია ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისათვის დაუყოვნებლივ შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია რიყე წყალდიდობის შემდეგო.

*** საზღვარ-გარეთ გაგზავნილი მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აგრონომი თავ. ანდრონიკაშვილი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან.

*** როგორც გაზეთი „კავკაზი“ იუწყება, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ საბუნების მეტყველო, საეტნოგრაფიო და საანტროპოლოგიო საზოგადოებას თავის ნამდვილ წევრებად აურჩევია თავადნი რ. დ. ერისთავი და ი. გ. ჭავჭავაძე.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სასულიერო სასწავლებლებს უფასოდ მიეცეს ხოლმე მცენარეულობა და თესლეულობა სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო ბაღებიდგან.

*** როგორც იმავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდგან, სახალხო წარმოდგენების მმართველს ქ-ნ ნიკოლაძისას უთხოვნია ქალაქის საბჭოსათვის დაუთმოს უფასოდ ქალაქის თეატრი კვირაში ერთხელ ყველასათვის ხელმისაწვდენ წარმოდგენის გასამართავად.

*** ერთს სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ დურგალ-ხელოსნების შესახებ. ამათ უსტაბაშს ნება-რთვა აუღია უმრავლეს უფროს ხელოსნებისაგან, რომ წვრილ-წვრილ ხელოსანთ ქარხნები დაუკეტოს, ისეთს წვრილ საწყალ ხელოსნებსაც კი, რომელთაც მხოლოდ თითო დაზგა უდგათ, ორიოდ იარაღი აბადიათ და სახლში, თავისს ცოლშვილში მუშაობენ. ესენი თავიანთ ნაკეთებს საქონელს იაფად ჰყიდიან და ამით ცოლშვილს აცხოვრებენ. ნეტა რამ გამოიწვია ასეთი განკარგულება უსტაბაშის წინაშე, ამისი კაცმა არა იცის-რა!

*** 1900 წ. სწორედ ასი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც მცხეთელი გლეხის ბიჭი სადიხა (ანდრია) მოკვდა. ეს ბიჭი იყო მთავარი მომქმედი აღა მაჰმად-ხანის მოკვლისა და ამიტომ, კარგი იქმნება, ამის შესახებ ვინმემ რამე დასწეროს და ანდრიას ამბები ანუსხოს. ამის ამბავი ქართველთათვის დიდად საინტერესოა, მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ბევრს აღარა ახსოვს-რა, მომსწრე კაცთ აღარა იციან-რა.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს გადაუცია ქალაქის მოურავისათვის ს. საბურთალოს (ვერაზეა) მცხოვრებთა თხოვნა ამ სოფლის ქალაქზე მიწერის შესახებ.

*** ტფილისის პასტერის სადგურს აზრადა აქვს წარუდგინოს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო-სამრეწველო საზოგადოებას გამოფენას 1901 წ. ზოგიერთი ნივთები და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა პრეპარატები, რომელსაც რაიმე სამეცნიერო და საზოგადო ინტერესი აქვს. ახლა ამ სადგურში სამკურნალოდ 18 კაცია თურმე.

*** ქალაქის სასაკლაოში დასაკლავად მოყვანილ ძროხათა შორის აღმოჩენილა ერთი შავი ჭირით ავადმყოფი ძროხა. ძროხა დაჰკლეს და ხორცი დასწვეს.

*** კვირას, 22 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ორბელიანის ქუჩაზედ ცეცხლი გაუჩნდა ბუხრიდგან გრიგოლ არუთინოვის სახლს. ცეცხლის გაჩენა მალე შეატყობინეს ცეცხლის მქრობელ რაზმს რომელმაც მცირეოდენის ზარალით გადაარჩინა არუთინოვის სახლი დაწვას.

## თეატრის მატიანე

„ვაი ჭკუისაგან“, კომედია 4 მოქმედ. გრიბოედოვ სა, თარგმანი განდეგილისა.

დრამატიულ კომიტეტის მიერ წლევანდელ სეზონის დასაწყებად არჩეული პიესა, გრიბოედოვის კომედია — „ვაი ჭკუისაგან“, რუსეთის ლიტერატურაში ერთ საუკეთესო და კლასიკურ ნაწარმოებად ითვლება. ამ პიესაში დიდის სინამდვილით და ხელოვნებით დახატულია რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება მიმდინარე საუკუნის მე 20 და 30 წლებში. სამი რამ ახასიათებს იმ დროის რუსთა ცხოვრებას: თაყვანისცემა ხარისხისა და ჩინის წინაშე, გარეგანად გაევროპიელება და გონების სრული სიდუხჭირე. კაცად იმ ჩვენგან დაშორებულ დროს ის ითვლებოდა ვინც ჩინებისა და ხარისხის მიღებას ეტანებოდა, საზოგადოებაში პატივი იმასა ჰქონდა, ვინც მაიმუნურად მხოლოდ გარეგნობით ჰბაძავდა ევროპიულ ცხოვრებას და კეთილ-საიმედო ყოფა-ქცევის სახელიც იმასა ჰქონდა გავარდნილი, ვინც უფროსებს, ხარისხითა და ჩინით წარმატებულთ, არ უხირდებოდა, ვინც თავისის აზრის გამოთქმას ერიდებოდა“. აი ამ ფარგალით იყო შემოზღუდული საზოგადოებრივი ცხოვრება და ყველა ის, ვინც ამ ბნელში ახალის შუქის შუნათებას დააპირებდა, ვინც ძველს გახრწნილს ცხოვრებას გაჰკიცხავდა, საზოგადოებიდგან იდევნებოდა.

გრიბოედოვის კომედია დიდებული და უკვდავი სწორედ იმიტომაა, რომ იქ დახატულია ბნელისა და სინათლის ბრძოლის სურათი, სურათი ძველის უკვე დახავსებულის ცხოვრების შეტაკებისა ახალ განმაცხოველებელ სიოსთან. ხოლო ასეთი ბრძოლა, ასეთი შეტაკება ძველისა და ახალისა ყოველთვის არის, იგი არსებითი კანონია კაცთა საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

მეტად ნიჭიერად და სავსებითაა შემუშავებული ეს პიესა. უმნიშვნელო მომქმედიც-კი იქ მთელი ტიპია. ზოგს მომქმედს პირს პიესაში სულ ორი-სამი სიტყვა აქვს საქთმელი, მაგრამ გრიბოედოვის ნიჭმა ამ ორი-სამი სიტყვითაც-კი ცოცხალი კაცები დაგვიყენა თვალ-წინ და სრული, ყოველის მხრით უნაკლულო ტიპები დაგვანახვა.

სამწუხაროდ, ქართულის დასის მსახიობთ წარსულ ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, ვერ დაგვიხატეს ეს ტიპები და სავსებით ვერ გადმოგვცეს ის, რის თქმაც თავისის პიესით ავტორს უნდოდა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პიესის კარგად წარმოდგენა მეტად ძნელია, იმდენად ძნელი, რომ რუსულ საუკეთესო დასებსაც-კი უჭირთ მისი უნაკლულოდ წარმოდგენა. უმნიშვნელო როლის მოთამაშესაც-კი დიდი დაკვირვება ჰმართებს, სჭირია წარმოსადგენ ტიპის ბუნების კარგად შესწავლა და მთელ პიესაში გამოყვანილ ცხოვრების გაგება და გაცნობა. ჩვენს არტისტებს-კი წარსულ ხუთშაბათს ეს სულ არ ეტყობოდათ. სჩანდა, რომ არტისტები სულ სხვაფრივ სცდილან; სცდილან, მაგალითად, როლების შესწავლას (ერთის არტისტის გარდა), ანსამბლის დაცვას, მაგრამ პიესის სულისა და გულის გაგებას-კი არა. ამიტომ „ვაი ჭკუისაგან“ უფრო უბრალო ფარსსა ჰგავნდა, ვიდრე დიდად აზრიან, მეტად ხელოვნურად შემუშავებულ პ ესას. არტისტები უმთავრესს ყურადღებას გარეგნობას აქცევდნენ, ეფექტს, ამიტომ ვერ იგებდიო მოქმედთა სულიერ ვითარებას, იმათ გონებისა და ზნეობის ავლა დიდებას.

კერძოდ ბ ნი აბაშიძე (ფამუსოვი) ამ საღამოს არ მოგვეწონა იმის გარდა, რომ როლი კარგად არ იცოდა, ამ მსახიობმა სრულებით ვერ დაგვიხატა გრიბოედოვის ფამუსოვი, ეს ძველს

---

და ოდიში (1661 წ.), ოქონის ხატი თავის ადგილს დააბრუნა დიდის სასოებით, და ჩააბარა იესე გარსევანიშვილის მამას. ყველა ეს ცნობები ვახტანგს თვით არ შეუთხზავს, არამედ როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამოუღია თვით ხატის წარწერებიდან და შეუტანია მის გუჯარში. სხვა ცნობები ამ გუჯრისა უძველესი სიგელ-გუჯრებიდგან უნდა იყოს ამოღებული. მოჰყავს-რა თარგმანი ზემოხსენებულის სიგელისა, ბროსე დასძენს, რომ სიგელის პირი ეხლა ეკუთვნის ერთ წარჩინებულ გვარს გორის ქალაქისასაო, ხოლო რაც შეეხება ხატს, ეს ხატი ინახება პატარა ეკლესიაში გორშიო. ბროსეს ცნობებს ოქონის ხატის შესახებ იმეორებს დ. ბაქრაძე (Кавказ въ древн. пам. христ. стр. 118) და ბაქრაძის თხზულებიდგან მოჰყავს ცნობები გრაფინია უვაროვისას. გრაფინია უსაყვედურებს ბაქრაძეს, რომ მას თქმულება ოქონის ხატის შესახებ არ შეუმოწმებია ადგილობრივ არც გორში და არც სოფელ ოქანაში და ამიტომ ეხლა ძნელი გადასაწყვეტია, რომელ ხატზეა ლაპარაკიო. ეს საყვედური, რასაკვირველია, უადგილოა, ვინაიდგან ბაქრაძემ მოიყვანა ის, რაც ლიტერატურაში იყო ცნობილი მის დროს. ჩვენ უფრო უადგილოდ მიგვაჩნია უვაროვის აზრი, რომელიც ზემონაჩვენებ სპილოს ძვალზედ ამოჭრილი ხატის შესახებ მოგვითხრობს ადგილობრივ მებატონეთ გადმოცემით, რომ ხსენებული ხატი ლეკებს წაეღოთ და შემდეგ თავად წერეთლებს ჩავარდნოდათ ხელში, და წერეთლებისაგან შეიარაღებულის ძალით უკან ოქონაში დააბრუნესო, და ეს ამბავი უნდა ედვას სარჩულად იმ შემდეგ დროის თქმულებას (?), რომელიც ბაქრაძეს ისტორიულ ამბავად მოჰყავსო. ბაქრაძეს რაც ისტორიულ ამბავად მოჰყავს, ის ამოღებულია ვახტანგ VI-ის სიგელიდგან და სიგელში მოთხრობილი ამბები, როგორც ვნახავთ, მართლდება ნამდვილის ოქონის ხატის წარწერებიდგან.

ნამდვილ ოქონის ხატთან, ესე იგი იმ ხატთან, რომელიც იხსენიება ვახტანგ VI-ის სიგელში, არაფერი საერთო არა აქვს არც გორში დაცულს ხატს, ოქონის ხატად წოდებულს, არც სოფელ ოქონის ახალ ეკკლესიის ხატებს, რომელზედაც გრაფინია უვაროვისა მოგვითხრობს. ნამდვილ ოქონის ხატად ჩვენ მიგვაჩნია ის ხატი, რომლის აღწერას ქვემოდ ვუდგენთ მკითხველს. ამით ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მიერ აღწერილი ხატი უსათუოდ ელენე დედოფალს მოჰყოლოდეს საბერძნეთით, ამის უტყუარ საბუთებს ხატის წარწერები არ გვაძლევს, მხოლოდ ეს-კი ეჭვ მიუტანელია, რომ ვახტანგ მეექვსის სიგელში მოხსენებული ხატი ნამდვილად ის ხატია, რომელზედაც ჩვენ გვექნება ქვემოდ საუბარი. ეს ხატი ძველი დროდგან წინ უძღოდა ქართველთ მეფეებს ომში, ცნობილი იყო ოქონის ხატად, და მისი მტვირთველობა ომის დროს და დეკანოზობა ზავის დროს ებარა გარსევანაშვილის გვარს.

ოქონის ხატის საფუძველს შეადგენენ ნაწილები წმიდანებისა რიცხვით 80, რომელნიც უჯრებად არიან დაყოფილნი და თითოეულს წმიდანის ნაწილს თავის ბუდე აქვს. ამათში ურევია თვით სამსჭვალიც უფლისა პატარა ოქროს მილანქრიან სვეტის მსგავსს ბუდეში ჩასმული. ვახუშტის თქმულება სამჭვალის შესახებ შეიძლება ამას ეხებოდეს. ნაწილების მეორე გვერდზედ, ვერცხლის ფიცარზე, თითოეულს ნაწილს წარწერა აქვს მშვენიერის ასო-მთავრულით, თუ რომელი ნაწილი რომელ წმიდანს ეკუთვნის, მხოლოდ მცირეოდენი ნაწილებია მარცხნივ დარჩენილი, რომელთაც წარწერები არა აქვთ. ნაწილების წინაპირს დაფარებული აქვს მინა და მინას ზემოდ ხატი ჯვარცმისა ოქროსი, ამობერვით ნაჭედი, სიგძით ექვსი გოჯი და სიგანით ოთხი. ხატი თავისის შინაარსით განიყოფება ორ ნაწილად. ზემო ნაწილზე ჯვარცმაა წარმოდგენილი სრული ჩვეულებრივი „ატრიბუტებით“. შუაში ჯვარცმული, თავში ორივე მხრით ანგელოზები, აქეთ-იქით შუა ჯვარის ნაწილისა მზე და მთვარე, მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმულისა იოანე და ღვთისმშობელი ქვემოთ ადამის თავი და სხვა. ქვემო ნაწილზედ ხატისა შუაში მთავარ-ანგელოზია გამოხატული მარჯვნივ წმიდა დიმიტრი და მარცხნივ წმიდა გიორგი. წმიდა დიმიტრი და წმიდა გიორგი შეიარაღებულათ არიან წარმოდგენილნი უცხენოთ. სურათების მაჩვენებელი წარწერები ასო-მთავრულებია. ხატი მდიდრათ არის შემკობილი სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვებით, მარგალიტებით, ზურმუხტებით, ფირუზებით, ლალებით და სხვა, სულ 65 ძვირფასი ქვა უზის, ხელოვნურად ჩაწყობილი. მედალიონის მსგავსი სიმრგვლე შუაში მარცხნივ კედრით ძვირფასი ქვებით შემკობილი ფრიად ლამაზია. საზოგადოდ მთელი ხატი მშვენიერი ნახელავია და ეკუთვნის საუკეთესო დროს ხელოვნებისას. ეს ჯვარცმის ხატი თავის ნაწილებითურთ ჩასვენებულია მოზრდილ ოქროთ დაფერილ ვერცხლის კუბოში, რომლის წინა პირზედ გამოხატულია ჯვარი. შუაში კუბო იხსნება თანასწორი კარებით ხატის ჩასასვენებლად. ზემოთ კუბოზედ მობმულია გძელი და მომსხო ვერცხლის ძეწკვი, რომლითაც ხატს ჯვარის მტვირთველი ჩამოიკიდებდა ყელზედ და ძეწკვს შემოიხვევდა წელზედ სარტყლის მსგავსად. ხატი თავის კუბოთი და საბმულით საკმაოდ მძიმეა. უძველეს ნაწილად ხატისა ჩვენ მიგვაჩნია წმიდანების ნაწილები თავისი საერთო უჯრით. შესაძლებელია ელენე დედოფალს ეს ნაწილები მოჰყოლოდეს საბერძნეთიდგან. თვით ნაჭედი ხატის ხელობა ქართულია საუკეთესო დროისა და წარწერებიც ასო-მთავრული აქვს. შეიძლება წინად ნაწილებს თავს ეფარა სხვა ხატი ვიზანტიურის ხელოვნებისა, მაგრამ დროთა ვითარების გამო ჩვენამდის არ მოაღწია და მტრების მიერ განიძარცვა. იმ აუარებელ ტყვევნა-რბევაში, რომელიც საქართველომ გამოიარა, ეს ადვილად წარმოსადგენია.

ოქონის ხატს და მის ბუდეს ამკობენ მრავალ გვარი წარწერები სხვა-და-სხვა დროისა. აი ეს წარწერები:

1. თვით ხატის გვერდებზე ანუ სისქეზე ასომთავრულით:

წ. ღ̃ისა: სიტ̃ყო: ხ̃ტისა: შ̃ნისა: კსნისა̃თს: კ̃ცთა

თვისა: მიმღ̃ბელო: ხ̃ტისა: ამის: შ̃ნისა: ტრფიალებათა:

მ̃თ: მ̃რ: მ̃მკბლი: მ̃ფე: გ̃ი: ნუ̃ცა: ვიქცევი: შ̃ნგ̃ნ: სირცხვლ̃ული:

უქარაგმოდ

წ. ღვთისა სიტყუაო, ხატისა შენისა კსნისათჳს, კაცთათჳს, მიმღებელო ხატი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციებში, წარჩინებულთა და „უვროსთა“ პატივის ცემაში აღზრდილი კაცი, რომლისთვისაც ცხოვრებაში უმთავრესი ჩინია და რომელიც ყველაზედ მაღლა ვიღაც კნეინას აზრს აყენებს. საოცრად ცივად და უგულოდ ჩაატარა ბ-ნმა აბაშიძემ პიესის საუკეთესო ადგილი პირველ მოქმედების ის სცენა, სადაც ფამუსოვი ჯერ ჩაცკის, შემდეგ სკალოზუბს ელაპარაკება. აბაშიძეს არ ეტყობოდა ამ მოქმედებაში არც ის გაოცება და გაკვირვება, რომელსაც გრიბოედოვის ფამუსოვი ჩაცკის სიტყვების მოსმენის დროს ეძლევა, და არც ის პატივის ცემა და ალტაცება ჩინის წინაშე, რომელსაც ფამუსოვი სკალოზუბთან ლაპარაკის დროს უნდა ჰგრძნობდეს.

უფრო უკეთესი იყო ამ საღამოს ბ-ნი მესხი, მაგრამ ჩაცკისა არც ამ მსახიობს ეცხო ბევრი რამე. ეჭვი არ არის, რომ მეტად ძნელი წარმოსადგენია ისეთის იდეალისტის და რეზონიორის როლი, როგორიც ჩაცკის როლია გრიბოედოვის კომედიაში, მაგრამ ბ-ნი მესხი ცოტაოდნად მაინც რომ ცდილიყო ჩაცკის სულიერ მდგომარეობის გადმოცემას, მაშინაც-კი კმაყოფილი ვიქნებოდით. მესხი ძალიან ბევრს სცდილობდა სცენაზედ თავის დაჭერას, მონოლოგების კარგად და კოხტად წარმოთქმას, მაგრამ თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გმირის სულიერ მდგომარეობას. გეგონებოდათ, ჩაცკი სიტყვებს ამბობს და გრძნობით-კი არაფერს არა ჰგრძნობსო.

სუსტები იყვნენ ამ საღამოს აგრეთვე ქ-ნი კარგარეთელი (სონა) და გაბუნია-ცაგარლისა (ხლესტოვისა). ქ-ნმა კარგარეთელმა სრულიად ვერ დასძლია როლი, ხოლო ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ უფრო ხანუმას მაგვარი რაღაც წარმოგვიდგინა. ბ-ნი სვიმონიძე მარტო იმით გვაგონებდა სკალოზუბს, რომ სამხედრო ტანისამოსი ეცვა და არც სამხედრო კაცის მიხვრა-მოხვრა ჰქონდა და არც ის გადაჭარბებული კმაყოფილება ეტყობოდა, რომელიც სკალოზუბის მაგვარ კაცების ხასიეთის უმთავრესს თვისებას შეადგენს.

ცოტა ხეირიანად შეასრულეს ამ საღამოთი თავიანთი როლები ქ-ნმა მდივანმა და ბ-ნთ გედევანოვმა და მათირიშვილმა.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ რეჟისორს „პოლონეზის“ გაპიანურებისათვის. ჩვენმა არტისტებმა ისე უშნოდ შეასრულეს „პოლონეზი“, რომ უკეთესი იქმნებოდა რეჟისორს სულ გამოეტოვებინა, ან შეემოკლებინა.

მოკეთე

# რუსეთი

ყველა ეპარქიის სამღვდელოთ განემარტათ, რომ ერის-კაცთ მესამედ ქორწინება აღკრძალული არა აქვთ და ამისათვის შუამდგომლობა საეპარქიო მთავრობის წინაშე სრულიადაც არ არის საჭირო. გარდა ამისა, განემარტათ მღვდლებს, რომ მათ ნება ეძლევათ მესამედ ნაქორწინებთ საეკლესიო სასჯელი თავისით დასდვან ხოლმე.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რუსეთის ყველა რკინის გზისათვის წინადადება მიუციათ, რომ ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით ვაჭრობას რკინის გზებზედ სასტიკი ყურადღება მიექცეს. მიზეზი ამ ახალის განკარგულებისა ის გარემოებაა, რომ დღემდის ერთობ მეტ ფასს თურმე ართმევდნენ მგზავრებსა და წიგნებით მოვაჭრენი არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ იმ სავალდებულო წესებს, რომლებიც ამ საგნის შესახებ არის დადგენილი.

— თანახმად სამთო კომიტეტის დასკვნისა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შესაძლებელად უცვნია, რომ ამიერიდგან მღვიმე-მაღაროებსა და ქვა-ნახშირის სამრეწველოებში ესრედ წოდებული ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება „ვესტფალიტი“ იხმარონ ხოლმე რუსეთში.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მასწავლებელთათვის გასამეორებელი მუდმივი მოძრავი კურსები დაარსოს იმ დაშორებულს ადგილებში, სადაც არც უმაღლესი და არც საშუალო სასწავლებლებია.

— სრულიად რუსეთის მებაღეთა მეორე კრებისათვის სიმთვეროპოლი ამოურჩევიათ. კრება მომავალს წელს იქმნება შემოდგომაზედ მოწვეული. განზრახვა აქვთ კრებასთან ერთად მებაღეობის გამოფენაც გამართონ.

— სრულიად რუსეთის მებაღეთა კრების თაოსნობით დაპარაკია აღძრული, რომ საჯარო ლექციებისა და კითხვათა ნება-რთვის შესახებ არსებული წესი გაადვილებულ იქმნას.

— ქალაქის დასაფასებელ გარდასახადის შესახებ განმარტა სენატმა, რომ, როდესაც მამული შემოსავლითა ფასდება, საჭიროა ეს ღირებულობა, ანუ თანხა 10% იქმნეს გამოყვანილით, ე. ი. შემოსავალი ათჯერ იქმნეს გამრავლებული.

— უწმ. სინოდს რუსეთის სამრევლო საეკლესიო სკოლების რიცხვის ზრდის შესახებ საყურადღებო ცნობები შეუკრებია. 1885 წ. მთელს რუსეთში 7,700 სამრევლო-საეკლესიო სკოლა ყოფილა, რომელშიაც 184,000 ბავშვი თურმე სწავლობდა. ხუთის წლის შემდეგ, ე. ი. 1890 წ. სკოლების რიცხვს 19,135 მდე მიუღწევია, ხოლო მოწაფეთა რიცხვს—530,000 მდე. 1895 წ. სამრევლო-საეკლესიო სკოლების რიცხვი 31,835-მდე ასულა, ხოლო მოწაფეთა რიცხვი 981,000-მდე და 1898 წელს მთელს რუსეთში 39,650 სკოლა ყოფილა, რომლებშიაც 1,450,000 ბავშვი თურმე ითვლებოდა.

— ფინანსთა სამინისტროს მიერ „თამბაქოს წესდების“ პროექტის განხილვა განუსაზღვრელ დრომდე გადადებულია, რადგანაც ამ ჟამად სამინისტრო იმის განხილვაშია, რომ თამბაქოსი და თამბაქოს ნაწარმოების ვაჭრობა ხაზინამ დაიწყოს თავისით

— სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენცია იმ აზრისაა, რომ შეიძლება სამხედრო-საფერშლო სკოლებში ლათინურ ენის პროგრამა შემცირებულ იქმნეს ისე, რომ საქმეში ამითი არა იზარალოს-რა.

— დაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საერო სკოლებთან პატარა აფთიაქები იქმნეს გახსნილი, რომლებშიაც მუდამ უნდა იპოვებოდეს საჭირო მასალა და წიგნები, რომ გაჭირვებულთ უსაჭიროესი და თავდაპირველი სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ.

— საერო განათლების სამინისტრომ საერო სასწავლებლების დირექტორებს იმ გუბერნიებისას, სადაც საერობო დაწესებულებანი არ არსებობენ, წინადადება მისცა, რომ თავისს დროზედ და დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე საერო განათლების საჭიროებათა შესახებ, რომლებიც საერობო თანხიდგან უნდა იქმნენ დაკმაყოფილებულნი.

— რუსეთის მწერალთა კავშირს გარდაუწყვეტნია სენატში საჩივარი შეიტანოს იმის გამო, რომ რამდენჯერმე ითხოვეს სრულიად რუსეთის მწერალთა კრება მოეწვიათ და ნება-რთვა არ მისცეს.

— ნ. კ. მიხაილოვსკის 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის დღესასწაულობა 15 ნოემბერს არის დანიშნული. როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რუსეთის მწერალთა კავშირის სადგომში ამ დღეს მეიუბილეეს სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, საზოგადოებათა და კერძო თაყვანისმცემლების მილოცვათა და ადრესებს მიართმევენ და შემდეგ სასტუმრო „Сѣверная гостинница“-ში ხელმოწერით გაიმართება სადილი.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო ოლქის უფროსებისათვის წინადადება მიუცია, რომ სამრეწველო სასწავლებლების შესახებ ანგარიშებში დაწვრილებითი ცნობები იყოს ხოლმე შეტანილი იმის შესახებ, თუ აღნიშნულს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი რა საქმესა ჰკიდებენ შემდეგ ხელს, რა ადგილებს აძლევენ, თუ სადმე მსახურობენ, და საზოგადოდ თავიანთს გასამრჯელოში რას იღებენ, ან იყენებენ ცხოვრებაში თუ არა იმ ცოდნას, რომელსაც იგინი სასწავლებელში იღებენ და სხ. გარდა ამისა, სამინისტრო საჭიროდა სთვლის შეიტყოს, სწავლის დამთავრების შემდეგაც ჰზრუნავენ რასმე თავისს მოწაფეებთათვის აღნიშნული სამრეწველო სასწავლებლები თუ არა და თუ რაიმე მონაწილეობას იღებენ, ეს მონაწილეობა და მზრუნველობა რაში გამოიხატება.

— უმართებულესს სენატს განუმარტავს, რომ სახლის პატრონებს უფლება არა აქვთ მდგმურს კარები დაუკეტონ და ბარგი არ დაანებონ იმ შემთხვევაში, თუ მდგმურს სახლის პატრონისა ჰმართებს რამე. სახლის პატრონის ასეთი საქციელი კანონის წინააღმდეგად ჩაითვლება, როგორც თავისის უფლების გადაჭარბება და ძალადობა.

— X-ე სრულიად რუსეთის ტყის პატრონთა კრება მოხდება აგვისტოს 1901 წელს ქ. რიგაში.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

შეერთებულ შტატებში ამას წინად ჰკუაზედ შესცდა ინდოელთა ერთი წინამძღოლი, სახელად ჯერონიმი. ეს 14 წელიწადია, რაც ჯერონიმი სილის სიმაგრეშია დამწყვდეული. ინდოელთა არც ერთს წინამძღოლს იმდენი ხალხი არ ამოუჟლეტია და იმდენა წვალება არ მიუყენებია შეერთებულ შტატებისათვის, რამდენიც ამ ჯერონიმმა. მთავრობას 2 მილიონ მანეთზედ მეტი დაეხარჯა იმის დაჭერაზედ. თითქმის მთელი 50 წელიწადი ჯერონიმი აპახთა (ინდოელთა ერთი ტომია) ბრბოებს ადგენდა და ევროპიელთა საჟლეტად დადიოდა. წინამძღოლად ჯერონიმი აპახებმა თექვსმეტის

---

სა ამის შენისა, ტრფიალებათა მათ მიერ მამკობელო, მეფეთ მეფე გიორგი, ნუმცა ვიქცევი შენგან სირცხვილეული.

ქართველთ მეფენი სახელით გიორგი თორმეტი იყო, და ძნელი სათქმელია, რომელ გიორგის ეკუთვნის ეს წარწერა. პალეოგრაფიის მიხედვით ეს წარწერა ძრიელ წააგავს შახნავაზ I წარწერას ხატის ბუდეზედ და ამიტომ გვგონია, რომ წარწერა ეკუთვნის გიორგი XI (1675—1695).

2. ზემოთ იმავე ხატის სისქეზედ ასომთავრულით:

ქ͠ე:. ადიდე:. ბ͠ფთა:. მ͠ფე:. გ͠ი:. დ͠დთ:.

დ͠ფი:. რ͠სუდ͠ნ:. ძე:. მათი:. ბ͠გრტ:.

უქარაგმოთ:

ქრისტე, ადიდე მეფეთა მეფე გიორგი, დედოფალთ დედოფალი რუსუდან, ძე მათა ბაგრატ.

მეფეთ მეფე გიორგი, რომლის ცოლს ერქვა რუსუდან და შვილს ბაგრატ, მარტო ერთი ვიცით ჩვენ. ეს იყო გიორგი II იმერეთისა, ბაგრატ III შვილი. რუსუდან, შარვაშიძის ასული, შეირთო გიორგი II 1563 წელს, ხოლო გარდაიცვალა რუსუდანი 4 აგვისტოს 1578 წელს. გიორგი მეფე რუსუდანითურთ და ბაგრატითურთ იხსენიება ორ გუჯარში 1568 და 1569 წლებისა და ბაგრატის დაბადებას ჩვენი წყაროები უჩვენებენ 1565 წელს და სიკვდილს 1578 წელს (H. G. II, 1, p. 642. ბროსეს Bapp. XI, p. 52). ყველა ზემო ნათქვამის მიხედვით ეს მეორე წარწერა უნდა ეკუთვნოდეს 1565—1578 წლებს. 1581 წელს გიორგი მეფემ მოარბია შიდა ქართლი, მაგრამ ამ წარწერას მაშინ ვერ დასწერდა, ვინაიდგან რუსუდან დედოფალი და ბაგრატი გარდაცვალებულნი იყვნენ. ზემოთ ჩვენ ვნახეთ და ქვემოთაც შეხვდებით წარწერას, რომ ოქონის ხატი დარჩათ იმერლებს ოფიშკვითის ომის შემდეგ (1590 წ.), მაგრამ როგორც სჩანს ხატი მანამდისაც ყოფილა იმერეთში.

3. ბუდის მეორე გვერდზე ვერცხლის ფიცარზედ მხედრულად სწერია:

1. ქ: ეპა:. ძვირ:. უხსენებელო:. განება:. მიუწდ
2. ომელო:. ცისა:. და:. ქუეყანის:. შემქნელო:. ყოვლის ფერ·
3. ისა:. დამბადებელო:. ღ͠თო:. ძეო:. მაცხოვარო:. ქრისტე
4. მეუფეო:. ჯვარცმაო:. ოქონისა:. რომელმან
5. მოვაპედინეთ:. კუბო:. ესე:. ვერცხლითა:. ჩუენ:.
6. დადიანმან:. პატრონმა:. ლევან:. მის კურთხე-
7. ულისა:. ჩუენისა:. ამ:. სოფლისა:. თვალის სინა-
8. თლისა:, დედოფლისა:. პატრონისა:. ნეს-
9. ტან დარეჯანისა:. სულისა:. სახსრად:, და:.
10. საოხად:. რათა:. იხსენ:. ყოულისა:.
11. სატანჯველისაგან:. ლევან*)

აქ მოხსენებული ლევან დადიანი არის ლევან II. მეორე ცოლი ლევანისა იყო ნესტან-დარეჯანი, რომელიც გარდაიცვალა 1640 წლის ახლო ხანში, ხოლო თვით ლევან II გარდაიცვალა 1657 წელს. ნესტან-დარეჯანი წარწერაში მკვდრად იხსენიება, მაშასადამე წარწერა ეკუთვნის 1540—1675 წლებს.

4. კუბოს პირველ გვერდზე ასომთავრულით სწერია:

1. წ: ჩ͠ენ: ღთივ: გ͠ვრ͠გნოსანმან:
2. და: შენ მიერვე: ძლევა: მოცემე-
3. ლმან: მეფემან: შანავაზ: მეორედ
4. შევამკე: ოქონის: სახის: კუბო: ესე
5. ოქროთაჲ: ჩ͠ენად: სადღეგრძელოდ: და
6. მეფობისა: ჩ͠ნისა: წ͠რსამრთებლად
7. და: ძეთა: ჩ͠ენთა აღორძინებად
8. რათა: მეოხ: და მფარველ: გ͠ეყოს: ჩ͠ენ: ა͠ნ

ამ წარწერაში მოხსენებული შახნავაზ მეფე უნდა იყოს შახნავაზ I. ანუ ვახტანგ V (1658—1675), რომელიც იშვილა როსტომ მეფემ 1653 წლის ახლო ხანებში. ვინაიდგან მეხუთე წარწერაც იხსენიებს შახნავაზ მეფეს და იქ ნაჩვენებია 1670 წელი, ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ეს წარწერაც ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს:

*) ეს უკანასკნელი სიტყვა ჩართულის მსგავსად არის ამოჭრილი, ჩვეულებრივის ლევანის ხელის მოწერის გვარად.

კუბოს კარებზე შიგნიდამ მოყვანილია გქელი მხედრული წარწერა:

ქ: შენ: სამოსისო: სამზეო: სამ ნათელო: თვითებაო: სამგ(ვ)ამოვანო: თვით: განსწმედილო: და: ყ͠ლთა განმწმედელო: ერთ უფლებაო: ერთ კელმწიფებაო: ერთ ძლიერებაო: უხილაო: უსაზღროო: გარეშემოუწერელო: სიტკბოება: მიუწდომელო: წყალობა: აურაცხელო: თიკა: შემზელელო: და: ცხოვლად: მომყუანელო: პირველსა: მის: ჩვენისა: ადამისაო: რომელი: მართებდა: განგებად: ამის: ყოფიაა: ცასა: და: ქვეყანასა: დაბადებულსა: და: დაუბადებელსა: ხილულისა: და: უხილავისა: მსხემისა: და: უსხეულოსა: ციერისა: და· მიწიერისა: მის: ყოვლისა: კელმწიფედ: მპყრობელ მქონებელო: რომელი: ზი: უკუდავი: ღ͠თი: ღ͠თად: რომელმან: მოავლინე: ერთი: წმიდისა: სამებისაგანი: და: კაც იქმენ: უქცევლად: საშო: ქალწულისა: დაიმკვიდრე: და: აღიზარდე: კაცთა: შორის: და: წესი: ყოველი: რჯულისა: აღასრულე: თვინიერ: ცოდვისა: ჯვარცმა: და: სიკუდილი: თავს: იდევა: ჯოჯოხეთი: წარმოსტყუენე: და: აღდეგ: მესამესა: დღესა: ამ(ა)ღლდი: ზეცად: და: მჯდომარე: ხარ: მ(ა)რჯვენითა: მამისსა: და: აწ: შენ: ხატო: ღ͠თებისა:. და: მაცხოვარო:. ოქონისაო:. ჩვენ:. ცვაფარვათა:. შენთა:. მონდობილმან:. და:. მოსავმან:. წმინდისა:. სახელისა:. შენისამან:. კელმწიფემან:. მეფემ:. პატრონმან:. შანავაზ:. მოვაპედინეთ:. კუბო:. ესე:. ოქროსა:. მას ჟამსა:. ოდეს:. ჟამთა:. ვითარებისაგან:. დატყვევებული იყო:. და:. ოდიშს:. ჩამო(ე)ტანათ:. როდეს: ჩვენ: იმერეთი:. და:. ოდიში:. დავიპყარით:. საქართველოს:. სამკვიდრო:. იყო: და:. საფიცარი:. წამოვასვენეთ:. და:. თავისა: სამკვიდრებელსა:. ტაძარში:. დავასვენეთ:. მის დღეში:. მეფეთ წინ:. საძლომი:. და:. სასოებაჲ:. და:. მოვსჭედეთ:. ჩვენ: სადღეგრძელოდა:. მეფობისა:. ჩვენისა:. წარსამართებლად:. და:. ცოდვილისა:. სულისა:. ჩვენისა:. სახსრად:. და:. საოხად:. და:. დღესა:. მას:. საუკუნოსა:. სასჯელისაგან:. ამინ:. ქ͠კს:. ტნჱ *):. და:. მივაბარეთ:. თავისა:. დეკანოზს:. გარსევანს:. როგორც:. ძველიდკან:. ყოფილი იყო:. ისე.

ეს წარწერაც, როგორც წინანდელი, ეკუთვნის ვახტანგ მეხუთეს, ანუ შახნავაზ I. ქორონიკონი უჩვენებს 1670 წელს.

ოქონის ხატის ისტორიის დასამთავრებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ხატი წაუღია საქართველოდგან რუსეთში ვახტანგ მეექვსეს, რომელიც, როგორც დავინახეთ მის მიერ ბოძებულის გუჯრიდგან ოქონის ხატს თავიდგან ერთს წუთშიც არიშორებდა. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ხატი დარჩენია მის შვილს გიორგის და შემდეგ გადასულა მემკვიდრეობით გრაფინია ტოლსტოის ხელში, რომელსაც ხატი დაუბრუნებია საქართველოში თავის ნათესავ პატივცემულ ნინა ილუმენიისათვის. ყველა ზემო თქმულიდგან აშკარა ხდება, რომ ეს ხატია ნამდვილი ოქონის ხატი, რომელსაც იხსენიებს ვახტანგ მეექვსის გუჯარი და რომელსაც ჩვენის აზრით, დიდი არხეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ე. თ.

*) ნამდვილში შეცდომით სწერია: ტნჳ,

წლისა არჩიეს. 1882 წელს ჯერონიმი და მეორე წინამძღოლი ვიქტორიო 600 კაცით ტყვედ ჩაუვარდნენ ამერიკელებს ვიქტორიოს თავი მოჰკვეთეს, ხოლო ჯერონიმმა გაქცევა მოახერხა და ოთხი წელიწადი კიდევ არ აძლევდა მოსვენებას ამერიკელებს. ბოლოს, 1886 წელს გენერლებმა მილზუმა და ლავტონმა შეიპყრეს იგი და მაშინვე ერთ სიმაგრეში დაამწყვდიეს არიზონის შტატში ქალაქ პრესკოტის მახლობლად, შემდეგ-კი სილის სიმაგრეში გადაიყვანეს. მალე ჯერონიმის მეამბოხენიც შეიპყრეს და ალიასკაში გაჰგზავნეს, სადაც ისინი ჭლექისაგან დაიხოცნენ.

* * *

ჩრდილოეთ პოლიუსი მოგზაურთ მოსვენებას არ აძლევს. ყველას უნდა მიაღწიოს ამ პოლიუსამდე, და ამისათვის ვინ იცის რას არ იგონებენ. ეხლა ერთ ნორვეგიელ ზღვაოსანს იოჰანეზენს ახალი საშუალება მოუგონია პოლიუსისაკენ გასამგზავრებლად. იოჰანეზენს აზრადა აქვს თეთრი დათვები გაწვრთვნოს, შეაჩვიოს მარხილში შებმას და შემდეგ ამ დათვების შემწეობით გაუდგეს გზას. იოჰანეზენი ამბობს, რომ მართალია დათვების გაწვრთვნა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. სამის წლის განმავლობაში სულ ადვილად შეიძლება დათვის გაწვრთვნა. სამაგიეროდ გაწვრთნილის დათვების წყალობით ადვილი იქმნება მგზავრობა. ასეთი დათვები ყინულზედაც წაიღებენ მარხილს და წყალშიაც რადგანაც ცურვა სამაგალითო იციანო.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 20 ოქტომბერს, იმპერატორის ალექსანდრე მე-III გარდაცვალების დღეს, პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

„პრავიტელ. ვესნიკი“ უწყება: „ჩინეთის მუდმივი ჯარი, 3000 კაცამდე, გენერალ მას უფროსობით პაოტინფუდგან სამხრეთ-დასავლეთით ქალაქ ციანჯუშია დაბანაკებული და გარშემო ადგილებს ანთავისუფლებს მოკრივეთაგან; გენერალი იუნშიკაის რაზმიც, 3000 კაცისაგან შემდგარი, დაბანაკებულია, ჩჷეჟოუსთანა და ესეც მოკრივეებსა სდევნის. საზოგადოდ პაოტინფუდგან სამხრეთით და შანსის პროვინციაში ჰმოქმედებს რამდენიმე რაზმი, რომელნიც გადარჩენილ მეამბოხეებს ბოლოს ულებენ“.

**მოსკოვი.** იმპერატორის ალექსანდრე III ის გარდაცვალების დღეს პანაშვიდი იქმნა გარდახდილი მთავარ-ანგელოზის საკრებულო ტაძარში.

**პეკინი.** საფრანგეთის ჯარმა, რომელიც სამენში მოვიდა, დედოფლის აკლდამა დაიჭირა; გერმანიისა, იტალიისა და ინგლისის რაზმები მოვიდნენ შემდეგ და სხვა აკლდამები დაიჭირეს. პაოტინფუდგან მოსულ დეპეშაში არავითარი ცნობა არ არის ბრძოლის შესახებ.

**კაპშტადტი.** რობერტსი 7 ნოემბერს ინგლისში მიდის. იუწყებიან, ვითომ კოფფიფონტენი ბურებს დაეპყროთ.

**ბერლინი.** იმპერატორის ალექსანდრე მე-III გარდაცვალების დღეს, საელჩოს ეკკლესიაში, ელჩისა და ყველა მოხელეთა და იქაურ რუს მცხოვრებთა თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. ხვალ იმპერატორის ნიკოლოზ II ტახტზედ აბრძანების დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და შემდეგ რუსეთის საელჩოში საუზმე გაიმართება.

**შანჰაი.** როგორც ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან სიანფუდგან, პრინცი ტუანი ბუდდას ბერთა ტანისამოსით მონგოლიაში გაქცეულა და სწადს იქ როგორმე ლამებს შეუერთდეს. 16 ოქტომბერს ქალაქის აღკრძალულ ნაწილიდგან ორს ამერიკელს ოფიცერს ესროლეს თოფი. ორივენი უვნებლად დარჩნენ მსროლელნი გაიქცნენ. ჩინელთა ცნობებით, ლიუკუნიმა და ჩჟანჩჟიდუნმა ტახტისადმი მირთმეულს მოხსენებაში ჰსთხოვეს, რომ ბრძანება გაიცეს იმ პრინცთა და მინისტრთა დასჯის შესახებ, რომელნიც „მოკრივეთ“ ხელს უმართავდნენ, რადგანაც უამისოდ განსაცდელი იმპერიას მოელისო. თან დაუმატეს, რომ, უეჭველია, უცხოელთა ჯარი ჩჟინდინუსაკენ მიდისო. შემდეგ იუწყებიან, რომ ჩენუს ნაბრძანები აქვს პეკინში წავიდესო.

**ტიან-ძინი.** პაოტინფუდგან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მოკავშირეთა ჯარები მოკრივეთ შეეტაკნენ, რომელთაც 21 კაცი მოუკლეს.

**პეკინი.** ელჩნი კვლავ თათბირობენ და სჯიან იმ წინადადებათა შესახებ, რომელნიც ჩინეთს უნდა წარედგინოს. საფრანგეთის წინადადება მიღებულია. რადგან სახელმწიფოთა შორის შეთანხმება საჭიროა, დამთავრებული ნოტა მხოლოდ რამდენისამე კვირის შემდეგ შეიძლება ჰბარდეს ჩინეთს. მოკავშირეთა ჯარები მოკრივეთ სდევნიან. საფრანგეთის რაზს ჩინელებმა ჩიაჩჟანთან, პაოტინფუს სამხრეთით წინააღმდეგობა გაუწიეს: ფრანგებს ერთი მოუკლეს და თორმეტი დაუჭრეს. ფრანგთა და გერმანელთა რაზმი სილინისაკენ წავიდა, საიმპერატორო გვარეულობის სასაფლაოსაკენ; როგორც ხმა დადის, იქ მათ წინააღმდეგობა თურმე გაუწიეს.

უმთავრესს ხაზინადარს პაოტინფუში, გუბერნატორსა და ერთს პოლკოვნიკს საერთაშორისო კომისიამ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა; ისინი მალე იქნებიან დასჯილნი.

21 ოქტომბერი

**ტიან-ძინი.** გუშინ დიდი რიცხვი საფრანგეთის ოფიცრებისა იმ საგანგებო მატარებელში ჩასხდა, რომელიც იყო ამერიკელთა მე-14 რაზმის ტონკუში წასაყვანად მომზადებული, და უარი სთქვეს მატარებლიდგან გამოსვლაზე. გენერალმა პეჯეტმა ამერიკელი ჯარის-კაცები მოიხმო და საფრანგეთის ოფიცრები ძალით გამოაყვანინა; უკანასკნელნი მეტად გულმოსულნი არიან და ითხოვენ ამერილებმა ბოდიში მოიხადონ.

**პეკინი.** დღეს დილას უცხოელ ელჩთა კრება მოხდა. ამბობენ, რომ სხდომაზედ მსჯელობა ჰქონდათ შეთანხმების დაწვრილებით პირობების შესახებ; შეთანხმებას საფუძვლად საფრანგეთისა და გერმანიის ნოტები უდევს, მხოლოდ ზოგიერთის ცვლილებით. ყველა ელჩთა შორის თანხმობა ჰსუფევს. ჩინეთთან მოლაპარაკების დაწყებისათვის საჭიროა შემუშავებულ იქმნას საერთო მოთხოვნილებათა პირი, რომელიც ყველა მთავრობათაგან იქმნება მოწონებული.

**პაოტინფუ.** იტალიის რაზმმა ბრიტანიის ცხენოსანი ჯარი გამოსცვალა, რომელიც დამსჯელ ექსპედიციად გაიგზავნა. რამდენიმე სოფელი დასწვეს და მრავალი მოკრივენი დახოცეს. დამზვერავი რაზმი ბრიტანიის ცხენოსან ჯარისა მოვიდა, გზაში მას წინააღმდეგობა არსად შეჰხვედრია. გერმანელების რაზმი მას საიმპერატორო აღმოსავლეთ აკლდამებთან შეეყარა. საერთაშორისო კომისიამ პროვინციის მსაჯულს ტიენი-იანს, ციხის უფროსს ვან-შანგუს, გენერალს კიუსა და ორს სხვა მოხელეს გარდაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. რიჩარდსანს ბრიტანიის რაზმით 15 ოქტომბერს მოელოდნენ ლანფანით. გერმანელები აქ დარჩებიან საზამთროდ მეციხოვნე ჯარად. განკარგულება მოახდინეს, რომ ხვალ დანგრეულ იქმნეს ის ტაძარი, რომელიც ნამეტანად წმინდად ითვლება.

**მადრიდი.** მარკიზის პერალბოსა და კასასოლის გაჩხრეკის შემდეგ კარლისტების ყველა კლუბები დაკეტილ იქმნა; ხელში ჩაიგდეს დოკუმენტები, რომლებიც კარლისტთა შეთქმულების არსებობას ამტკიცებენ; პროვინციებში ძალიან ბევრი გამოჩენილი კარლისტი დაატუსაღეს.

**იალტა.** სასჯულო საქმეთა მინისტრი გუშინ მოვიდა.

**იალტა.** დღეს, იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების მეექვსე წლის თავზედ, სასახლის ეკკლესიასა, ლივადიის დიდ-ტაძარსა და იალტის ყველა ეკკლესიებში იმპერატორის სულის მოსახსენებლად წირვები და პანაშვიდები იქმნა გარდახდილი.

22 ოქტომბერი.

**ბერლინი.** ვალდერზეესაგან ამბავი მოვიდა პეკინიდგან, რომ ნორმანის ჯარიდამ სტახოუს აღების შემდეგ ტზკეინკუენისაკენ წავიდნენ მეორე ბატალიონი მეორე რაზმისა და ინგლისელი საპიორები მაიორის ფერსტერის უფროსობით. ამათვე მიჰყვებოდნენ გენერალი ფონ-გაილი და ფლიგელ-ადიუტანტი ფონ-ბენი; 13 ოქტომბერს დიდ გალავანთან ამათ წინააღმდეგობა აღმოუჩინეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ იერიშით აიღეს კარები, რის დროსაც ხელთ იგდეს ხუთი ზარბაზანი; მტერმა 50 კაცი მოკლული დაჰკარგა, მისი რიცხვი ათასამდე იყო. მაიორი ფერსტერი და ექვსი ჯარის-კაცი დაჭრილ იქმნენ, ერთი მოკლულია. ჯარები სანაქებოდ იქცეოდნენ. გერმანიის დროშა ჩინეთის დიდ გალავანზედ ფრიალებს.

**შანჰაი.** აქაურმა იაპონიის ახალშენმა იაპონიის იმპერატორის დაბადების დღეობა იდღესასწაულა; დღესასწაულში ჩინეთის მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს. გამართულ იქმნა სადღესასწაულო კორტეჟი, რომელშიაც უცხოეთის წარმომადგენლებმა, შანჰაის ტაოტაიმა და სხვა გამოჩენილმა კაცებმა მიიღეს მონაწილეობა. სადილის დროს ტაოტაიმ იაპონიის იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა, რის პასუხადაც აქაურმა იაპონიის უფროსმა კონსულმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ჩინეთის იმპერატორისა. თავისს სიტყვაში იაპონიის კონსულმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ჩინეთის იმპერატორი მეგობარ ერების რჩევას გაიგონებს და მალე დაბრუნდება პეკინში, რაიცა უეჭველია, მისის ერის სურვილს შეესაბამება. ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ სადღეგრძელოების დროს ქვრივი დედოფალი არ მოიხსენეს.

**ლონდონი.** დეპეშა გენერალის კემბელისა იუწყება: „18 ოქტომბერს რანჩუში მივედი; დავტოვე რა პაოტინფუ, უკანიდგან მოვუარე, დავანგრიე ოთხი ძლიერი სიმაგრე მოკრივეებისა და დიდძალი იარაღი და მასალა გავანადგურე“. კემბლს დიდძალი საპალნის ჯორები წაურთმევია. ავად არავინ გამხდარა.

ჯარის უფროსმა პოლკოვნიკმა რეტილიკმა, რომელიც მდინარის პირ პირ მიდიოდა, ცანპეიხოუსთან ჩინეთის ცხრა სამხედრო ნავი დაიჭირა.

**ვაშინგტონი.** 1901 წლისათვის საზღვაო ხარჯების პროექტით განზრახულია ააშენონ სამი სამხედრო ხომალდი, რომლებიც თითო 15,000 ტონს უნდა იტევდეს, ორი ჯავშნიანი კრეისერი, თითო 15,000 ტონისა, ექვსი კანონერკა, თითო 2000 ტონისა, ექვსი 600 ტონისა თითო და ათი 200 ტონისა; ამას გარდა აზრადა აქვთ ააშენონ რამდენიმე ქვა-ნახშირის გემი, 15,000 ტონისა თითო, ერთი შესაკეთებელი გემი 7000 ტონისა და ერთიც გადასაზიდი გემი. საზღვაო ოფიცრების აზრით, კონგრესზედ ფლოტის ამისთანა გაძლიერებას ერთის წლის განმავლობაში წინააღმდეგობას არავინ გაუწევს.

**ლონდონი.** დეპეშით იტყობინებიან, რომ პოტჩეფსტრომში დატოვებულმა დაჭრილმა ბურებმა შეატყობინეს სბარტოუს: 15 ოქტომბრის ბრძოლის დროს ბურებს 140 კაცი დაუკარგავთ: დაჭრილი, მოკლული და უამბოდ დაკარგული. — 19 ოქტომბერს რუსტენბურგთან ბურების რაზმზედ, რომელიც მდინარე ვაალის ჩრდილოეთით მიდიოდა დევეტთან შესაერთებლად პეჯეტმა იერიში მიიტანა, მტერი თავისს სიმაგრედგან განდევნილ იქმნა. მეორე სიმაგრიდგან ბურების იერიშმა იომანრები გააქცია.

**ლონდონი.** დილის გაზეთები იტყობინებიან, რომ პრინცი ტუანი რომელიც ამას წინად იქმნა გადაყენებული თავისს თანამდებობიდგან უცხოელთა წინააღმდეგ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღებისა გამო, დედოფალს ისევ დაუბრუნებია სინანფუში. ყველა გადაყენებულ პრინცებს ხელ-ახლად მიეცათ ნება თავიანთ ულუფის მიღებისა. სამოქალაქო მმართველობისა, ფინანსთა და საბაჟო უწყებათა პრეზიდენტებად უცხოელების მტრები მანჯურელები იქმნენ დანიშნულნი.

უცხოეთის წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ კანის გვამი და თავი დასჯილის იუენსიენისა წარუდგინონ მათ. პაოტინფუზედ თვალყურის დევნებაში ჩინეთის ჯარები მონაწილეობას იღებენ.

**პრეტორია.** კიტჩინერი სამხრეთ-აფრიკაში რჩება ინგლისის ჯარების უფროსად.

**შანჰაი.** იმპერატორის ბრძანებით ლიუკუნი და ჯანჯინტუნი მშვიდობიან მოლაპარაკების საქმეში კომისსარებად იქმნენ დანიშნულნი ლიხუნგჩანგსა და ცინთან ერთად.

23 ოქტომბერი

**იალტა.** ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ ასვლის დღეს იალტა ხშირ დამემდე დღესასწაულობდა. სადაცკი წირვა და პარაკლისი იქმნა გარდახდილი, ყველგან ხალხით გაჭედილი იყო ეკკლესიები. ათის დღის ცივი და ღრუბლიანი ამინდის შემდეგ გუშინ ნათელი და თბილი დღე იდგა; ყველგან დიდი სიცოცხლე ეტყობოდათ; ნავთ-სადგურში მდგომ გემებიდგან დღითი ზარბაზნები დასცალეს და საღამოთი ბენგალის ცეცხლით გააჩირაღდნეს. ყველა საგარაკოები და მახლობელი ქუჩები გაჩირაღდნებული იყო. სასტუმრო „Россия“ ს წინ ანთებულს ჩირაღდანს, რომელშიაც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელები იყო ფერადი ცეცხლით გამოყვანილი, ხალხი აღტაცებით მიეგება; ორკესტრი ამ დროს საერო საგალობელს უკრავდა.

**პარიჟი.** იმპერატორის ნიკოლოზ II ტახტზედ აბრძანების წლის თავი საელჩოს ეკკლესიაში დიდის ამბით იქმნა ნადღესასწაულები; პარაკლისსა და დღესასწაულობას დაესწრნენ: დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, დიდნი მთავარნი პავლე ალექსანდრეს ძე, ანდრეი ვლადიმირის ძე და მიხეილ მიხეილის ძე და გერცოგნი ევგენი და გიორგი მაქსიმილიანეს ძენი ლეიხტენბერგისანნი.

**ლიონი.** ლუბე პარიჟს წავიდა.

**ლონდონი.** პეკინიდგან იტყობინებიან, რომ გამოქვეყნდა ახალი საიმპერატორო ბრძანება, რომელშიაც დიდი და ღრმა მწუხარებაა გამოთქმული გერმანიის ელჩის კეტტელერის მოკვლისა გამო; ბრძანებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული დანაშაულობა მხოლოდ იმპერატორის განზრახვათა სასაცილოდ აგდებაა. როგორც ფიქრობენ, ბრძანება იმის შიშით უნდა იყვეს გამოწვეული, რომ მოკავშირეებმა კვლავ არ იღონონ ისეთი სასტიკი საშუალებანი, როგორიც პაოტინფუში იღონეს. ვალდერზეემ დაამტკიცა სიკვდილით დასჯის ოქმი ჩინეთის იმ მოხელათა, რომელნიც პაოტინფუში იქმნენ დაპატიმრებულნი. როგორც ფიქრობენ, გარდაწყვეტით მოლაპარაკებას ამ თვის გასვლამდე უთუოდ დაიწყებენ.

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე